1930

№ 20 (256) ფასი 10 კაპ.
კვირა, 25 მაისი, 1930 წ.

სპეციალური ბათომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲐᲠᲙᲚᲘᲡᲘ

Г.П.Б-ка обяз. э
Лнгр. 1930 г.
Акт № М 2

Г.П.Б. обяз. экз.

ᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲔᲑᲘ: — სიფრთხილე და მორიდება გვმართებს, თორემ, თუ გაგვებუტა, — უნავთოთ დავრჩებით და მთლად დავილუპებით.

ახალი ბათომი

ბათომის საოპერო თეატრის პარტერში და ლოჟებში „ბრწყინვალე წოდების“ წარმომადგენლები ისხდნენ. სცენა საზეიმოთ იყო მორთული: უკანა ფარდაზე ნიკოლოზის დიდი სურათი ეკიდა. გრძელ მაგიდას შემოსხდომოდენ ბათომის მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები: ქალაქის თავი, ქალაქის უფროსი, პოლიცმეისტერი, გენერლები, თავადები და სხვები. ქალაქის თავი ტრიბუნაზე ავიდა და ნელი ხმით დაიწყო:

— **ბატონებო და ქალბატონებო!** დღევანდელი დღე ჩვენი აღფრთოვანების და სიხარულის დღეა. დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ ათი წლის თავს საქართველოში ბოლშევიზმის აღმოფხვრისას. ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ ტურფა საქართველოს ჯოჯოხეთის ბოროტი სულები — ბოლშევიკები დაეპატრონენ, რომლებმაც სამი დღის განმავლობაში დაამხვეს ჩვენი დემოკრატიული წყობილება და საქართველო „საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად“ გამოაცხადეს.

— მერე იცით ვინ განაგებდა ამ რესპუბლიკას? მუშები, გლეხები და წითელ არმიელები.

მართალია, მათი ბატონობა ჩვენში იყო ხანმოკლე, სულ რაღაც სამი დღის განმავლობაში, მაგრამ ის სამი დღეც ჩვენთვის სამი საუკუნე იყო „ტანჯვების და ბედის წყევის“.

ბატონებო და ქალბატონებო! თქვენ იცით, ვინ განაგებდა მაშინ ქალაქ ბათომს? ვიღაც ნავთსადგურის მუშა, რომელიც იჯდა იმ სკამზე, რომელზედაც მე ვიჯექი წინათ. ის იჯდა ჩემს მაგიერ, მე კი ვიჯექი ციხეში, რას იტყვით თქვენ? განა ეს მოსათმენი იყო? განა ასეთი შეურაცყოფა უნდა აგვეტანა?

ბატონებო და ქალბატონებო! იცით იმ სამ დღეს რას წარმოადგენდა ჩვენი კოხტა საქართველო? ო, არ შემიძლია, მოვიგონო. მოგონებაც კი „გულისცემას“ მიჩერებს. მუშები და გლეხები გაბატონდენ. ჩვენი კი „პატიოსანი ხალხი“ კანონის გარეშე გამოგვაცხადეს. ჩვენი შეურაცყოფა აუტანელი იყო და ვერც ავიტანეთ. „ქართველო ხელის ხმალს იკარ“ გაისმა ჩვენს შორის და... ჩვენც შევიარაღდით. წინ მიგვიძღოდა ჩვენი საყვარელი ნიკოლოზ. თქვენ იცით ბოლშევიკები რა მშიშრები ყოფილან? ბრძოლაც არ დაგვჭირვებია. ერთი წვეთი სისხლი არ დაღვრილა. ბოლშევიკები გაქრენ „გაზაფხულის თოვლივით“.

ჩვენ გავიმარჯვეთ. ჩვენი გამარჯვება იყო გმირული. და აი, დღეს, ამ ჩვენს ბრწყინვალე გამარჯვებას ვიგონებთ და ვდღესასწაულობთ. დაასრულა თავის სიტყვა ქალაქის თავმა და გაისმა მუსიკა. „ღმერთო, ფარავდე მეფეს“...

ბატონებო და ქალბატონებო! სიტყვა ეკუთვნის პარტიის სახელით კოწია ჩიბურდანიძეს, გამოაცხადა ქალაქის თავმა. ჩიბურდანიძე ტრიბუნაზე ავიდა.

— ბატ... ამხ... იმეორებდა ჩიბურდანიძე, რომელსაც სახეზე მკვდრის ფერი ედო.

— ძირს, ძირს, მოღალატე! ყვიროდენ ქანდარაზე.

— „ესეც შენ!.. მეხვივით გავარდა ეს ორი სიტყვა და სეტყვასავით დააყარეს ჩიბურდანიძეს ლაყე კვერცხები და დამპალი ვაშლები. ელექტრო - სინათლე ჩაქრა.

— ვაი! — დაიყვირა ჩიბურდანიძემ და გამოიღვიძა. მივედით! გაისმა ხმა.

— მივედით? ეკითხებოდა თავის თავს ჩიბურდანიძე, რომელიც პირალმა იწვა და პატარა რგვალ სარკმელს მისჩერებოდა.

— მივედით მოქალაქე! — გაისმა კვლავ იგივე ხმა. ჩიბურდანიძე წამოდგა.

— ო, ღმერთო ჩემო, ნუ თუ ბათომში ვართ? აქ ხომ მე ვცხოვრობდი ამ ათი წლის წინათ? სად არის, სად ჩემი ბათომი? აქ სულ სხვა ცხოვრებაა, ეს არ არის ჩემი ბათომი? ამბობდა თავისთვის ჩიბურდანიძე და გემიდან გადმოდიოდა.

უზარმაზარი გემი „საქართველო“ კი ბათომის ნავთსადგურში იდგა.

— მოქალაქე ჩიბურდანიძე! ნუ თუ არ იცოდი, რომ ძველი ბათომი აღარ არსებობს? ნუ თუ არ იცოდი, რომ ახალ ბათომში მოემგზავრებოდი? — უთხრეს მას ერთ ადგილას.

ყუმბარა.

ბათომის ისტორიიდან

სიტყვა „**ბათომი**“ ორ სიტყვისაგან წარმოსდგება. **ბათ**ისა და **ომ**ისაგან. სიტყვა „ბათი“ არავინ იცის რას ნიშნავს. „ომი“ ხომ ყველამ ვიცით. ვინც ბათომის წარსულს გაეცნობა, ის დარწმუნდება იმაში, რომ ბათომი მართლაც ომის ქალაქია.

მშვიდობიანობის მოყვარე და სათნოების მღაღადებელი რომის პაპაც კი ომის ხასიათზე დადგა, როცა აქაურმა პატრმა მას ერთ თავის წერილში ბათომი მოაგონა.

მენშევიკები ხომ, როცა ბათომს მოიგონებდენ, ყოველთვის ომის ხასიათზე დგებოდენ.

ამრიგად, ბათომის სახელი, იმის მაჩვენებელია, რომ ამ ქალაქს თან სდევს ომი.

არც გასაბჭოების შემდეგ შეცვლილა რამ ბათომისათვის ამ მხრივ.

ბათომში ბოლშევიკებმა პირველად ვაჭრებს შეუტიეს; შემდეგ დიდ მესაკუთრეებზე გადავიდენ, ბეგებსაც ეკვეთენ, კონტრაბანდისტებსაც შეუტიეს; შემდეგ —კულაკებს... ზღვას და კლდეებს დაუწყეს შებრძოლება; დიდრონი ქვებით შემოზღუდეს ზღვა და დაუკარგეს საშუალება ქალაქში შემოვარდნის, ეცენ კლდეს და დაუწყეს ბურღვა, გადახნეს გორები, გაკაფეს ტყეები და ჩაის რგავენ, ააგეს ისეთი სახლებიც, რომლის სიმძიმე ძალიან აწუხებს დედამიწას.

ომის სურვილი დღესაც არ ჩამქრალა აქ. მაგალითად: ყველა სასადილოებში სწარმოებს ომი ბუზებთან, ომი გაჩაღებულია აგრეთვე ოჯახებში ცოლებსა და ქმრებს შორის. ომი მძვინვარებს ჭაობის რაიონში ბაყაყებთან და ომია აგრეთვე აქაურ მღვდლებს შორის ეკლესიის გარშემო.

კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ამით დავკმაყოფილდეთ. ეს ქალაქი ერთ დროს ატარებდა თავის ზურგზე მეფის ჯალათებს, ინგლისელების ჯორებს, დენიკინელებს, მენშევიკურ გვარდიელებს, ოსმალოს ბეგებს და ვინ იცის კიდევ რამდენ ჯიშის ვიგინდარებს, რომლებიც ერთ დროს ბათომის ბატონ-პატრონად თვლიდენ თავს, მაგრამ ზღვის ტალღებმა მათ ომი გამოუცხადეს და ისინი სამუდამოთ წალეკეს...

აი რა არის ბათომი.

ჯ. ოგბოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ბათომში

— თავი დამანებე! ვერ წავალ სამსახურში. დღეს „ტარტაროზის“ სპეციალური ნომერი მოვიდოდა და იმაში ვიქნები გამოჭიმული.

ზ ღ ვ ი ს ქ ა ლ ა ქ ი

არის ზღვის პირად ქალაქი მაშვრალთ კუნთთაგან სვიანი,
ზურმუხტის ფერათ შემკული მომხიბლავ წალკოტიანი.
სად ზამთარ - ზაფხულ ჰყვავიან ყაყაჩო, ზამბახ-იანი,
და იმის თავზე მუდამ ცაც მოთინათინობს მზიანი.

ქალაქს ერთის მხრივ ზღვა აკრავს, ზღვა მხურვალ ტალღებოვანი
სხვა მხრიდან მთანი მაღალნი, მიუვალნი და კლდოვანი,
ნორჩია იგი ქალაქი, წარმტაცი სახელოვანი,
და დღეს მის სახელს აქებენ ერთგან მოყმე და მცხოვანი.

მისი სახელი ბათომი, არს ესე საცოდნარია,
იგი იზრდება, ივსება, მზეც მისგან საწუნარია.
მუნ კონტრაბანდის საყიდათ ვიდოდის მართა, მარია
აწ კი ლაგამი ამოსდვეს გამოუკეტეს კარი.ა

ბათომის ქუჩებს უნახავთ მრავალ მეფეთა კასკები,
შემოზიდული ფართალი, ლორიგან-კოტიკ-„ნასკები“,
პუდრით. პამადით, კალთებში ნახვევით, ვითა პასკები
ინდიგო კოვერკოტებით ოსმალნი, ბერძენ-ბასკები.

დღეს ეს ხელობა საფლავის წიაღსა შინ არს დებული
კონტრაბანდისტთა ლაშქარი წითელ გუშაგთგან ვნებული
სოროსა შიგან ჩამძვრალან ძრწოლვით გულ დაფეთებული
და გამოძრომას ვერ ბედავს მზე დამზრალ-დაბნელებული

არ დაიწუნვის სამოსათ არც ჩვენი საბჭოთ ჯუბანი,
მაგრამ მე მინდა ვახსენო ბათომის მშრომელთ უბანი,
სად დღესაც მებრძოლ მუშათა სისხლის სჩანს გადაუბანი,
მე იგი მინდა შევაქო, მუზამაც მომცა თუ-ბანი.

ბარცხანა არის ძველთაგან ამა უბნისა სახელი,
მუნ აზნავთშენი შენდება, განცვიფრდეს მისი მნახველი.
ჩვენი ზრდისა და შენების ურყევი გამომსახველი,
მით გული ხარობს მშრომელის, მტერს ემატება ნაღველი.

მინდა მივხედო კეკლუცი აჭარისტანის სოფელსა,
წარსულის ხუნდის მამსხვრეველს, მონობის უარ-მყოფელსა,
ძველის დამგმობს და ახალი ცხოვრების გზაზე მყოფელსა,
და მივესალმო „ფუხრულათ“, როგორც შობილი მშობელსა.

მესხეთის მთებო! წარსულმა მკერდი რომ დაგიმწუხარა,
ახალი ერა მოვიდა! ნისლებს მოიფენთ ნულარა
თქვენს მკერდზე ელვის ჩუქურთმებს შვებით დაგიბნევს ფუხარა—
და სალამს მოგცემთ შორიდან მედინა-მისრეთ-ბუხარა.

ჭოროხის ცელქო ტალღებო, შეითამაშეთ, აი რა,
თქვენ მონა ქალი მანდილით არ ერთხელ გაგეშაირა.
მონად გაჩენას კვნესოდა მისი ბაგე და დაირა,
აწ ჩადრშებურვით ვერ ნახოთ სუმერუნი და ზაირა.

ესე ყოველი მშრომელთა ხელით არს მონაღვაწები,
რომელთ ალმად აქვთ კომუნა და გული გულსა ნაწები,
მათი ალამი სისხლში და ოფლშია ამონაწები,
მათი გულები ხარობენ, შენ კი, მტარვალო, აწ-ები.

მედუზა.

შორიდან მტერს მოკლავს...



— გავეცნოთ... მშვენიერი რამ არის!
(იხ. მე-15-ე გვ.).

„პონტრაბანდა"

(„ჩუმ-ჩაირას ხმაზე")

პონდრაბანდი დამქონდა
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა
ბურთი ლელოს გამქონდა...
აი, რა!
ბათომი და თბილისი,
ჩუმ ჩაირა, ჩაირა.
იყო ჩემი რეისი:
აი, რა!
ლორიგან კოტს ვზიდავდა,
ჩუმ ჩაირა, ჩაირა.
და ჩერვონცებს ვჯიბავდი.
აი, რა!
ვაი, ვუი ნატანებს,
ჩუმ ჩაირა, ჩაირა.
ველარ გამოვაპარე...
აი, რა!
ბოკა წყალზე გამიტყდა,
ჩუმ ჩაირა, ჩაირა.
ჭამის მადა წამიხდა...
აი, რა!
დამიჭირეს, გამბაწრეს,
ჩუმ ჩაირა, ჩაირა.
და გეპეუ მანახვეს...
აი, რა!
ციხეს მიკრეს თავია,
ჩუმ ჩაირა, ჩაირა.
დღე დამადგა შავია...
აი, რა!

ბახჩო.

„სასწრაფო" დახმარება

მოქალაქე (ტელეფონთან): — საიდან არის? სასწრაფო პუნქტია?

ექიმი ოდესკი:—რა გნებავთ?

მოქალაქე: — ცხაკაიას ქ. № 85, კვდება ქალი, გთხოვთ სასწრაფოთ გამოგზავნოთ ექიმი.

ექ. ოდესკი:—სახელი და გვარი ავადმყოფის!

მოქალაქე:—ელენე გავაშელაშვილო! — გთხოვთ სასწრაფოთ მოხვიდეთ.

ექიმი ოდესკი:— მოითმინეთ!.. მიპასუხეთ სადაურის?

მოქალაქე: —ჩამოსულია ქუთაისიდან 1923 წელში.

ექიმი: — ქმარიანია თუ უქმარო?

მოქ.:—უქმარო.

ექიმი:—რამდენი წლისაა?

მოქ.: 25 წლის,— გთხოვთ მალე მოგვეშველოთ!

ექიმი:— დაიცათ! ხელობა? პარტიული მიმართულება? რატომ ჩამოვიდა ბათომში?

მოქ.: — ამხ. ექიმო, მე სავსებით უცხო ვარ, თვით ავადმყოფს კი არ შეუძლიათ გიპასუხოთ, დაგვეხმარეთ, მოვაბრუნოთ და გამოვიკითხოთ შემდეგ.

ექიმი:— არ შეიძლება! მიპასუხეთ სასწრაფოთ: რატომ ჩამოვიდა ბათომში?

მოქ.: — ჩამოვიდა თავის ყოფილ ქმართან შესარიგებლად.

ექიმი: —შეურიგდა თუ არა?

მოქ.: ქმარი აქ არ დახვდა ბატონო ექიმო, დაგვეხმარეთ!—კვდება ქალი!

ექიმი:— დაიცადეთ. მიპასუხეთ: რა ჭამა დღეს?

მოქ.:—არაფერიც არ უჭამია. დაგვეხმარეთ ჩქარა!

ექიმი:— მოიცათ. შეყვარებული იყო ქმარზე თუ არა?

მოქ.:—შეყვარებული იყო... მოგვეხმარეთ ჩქარა!

ექიმი: —რამ გამოიწვია მისი ავადმყოფობა?

მოქ.: —გულის სისუსტემ.

ექიმი:— გრძნობდა თუ არა მალარიით დაავადებას?

მოქ.:—გრძნობდა, გრძნობდა... ეხლაც აკანკალებს. გვიშველეთ მალე,

ექიმი:—ფიქრობს თუ არა ცხოვრებას ბათომში? რამდენ ხანს?

მოქ.: —(შინჯავს ავადმყოფოს).

ექიმი (რეკს):—მიპასუხეთ: ფიქრობს თუ არა დარჩენას ბათომში ხანგრძლივათ?

მოქ.: — რა გნებავთ?

ექიმი:—რამდენხანს ფიქრობს ცხოვრებას ბათომში?

მოქ. (რომელმაც დაამტკიცა, რომ ავადმყოფი მიიცვალა):—არა, არ ფიქრობს, ეს არის ეხლა განუტევა სული.

ექიმი:—აი ეხლავე წამოვა ჩვენი ავტო ექიმით.

შ კავალერისტი № 8.

მოგონება ახლო წარსულიდან

ბებრი: — ეჰ! იყო დრო ამ ჩემს აგარაკში ასეთები ვერც კი გაივლიდენ! ეხლა კი...



მიქრის, მირბის ავტო...
ნომერი აქვს ხუთი.
შიგ ზის ძალლი მარტო
გადმოშვერილ კუდით.

ხან ძალლს ბავში უზის,
და აცეცებს თვალებს,
ავტო აფრთხობს გამვლელს:
ბავშვებსა და ქალებს.

ცალანდარაშვილი
მართავს ავტოს საჭეს,
ხშირად მის მაგივრად,
თავის ცოლსაც აჯენს.
მიქრის, მიქრის ავტო,
ნომერი აქვს ხუთი,
შიგ ზის ძალლი მარტოთ
გადმოშვერილ კუდით.

შუშხუნა.

ნიმუშის ჩვენება--ანუ გოდლის შენება

— ასე აშენებდენ, მამილო, იმ გოდოლს, რომლის შესახებაც ერთხელ შენ მომიყევი? — შემეკითხა ჩემი პატარა ვაჟი, როცა ბინათ კავშირის მასალის საწყობს მივუახლოვდით ტფილისის ქუჩაზე, სადაც ეზოში ყორეს აშენებდენ.

— აბა ეს რა მოსაგონია, შვილო!?—უთხარი მე. — აქ საალმშენებლო მასალა იქნება დაწყობილი.

— შენ, რომ ამბობდი: გოდოლის აშენებდენ, და მუდამ ენგრეოდათ, ალბათ ასე აშენებდენ!

არ მისვენებდა ბავში, რომელსაც ჩემდა საუბედუროთ, ერთხელ გოდოლის შენების ამბავი ვუამბე და გულში ჩარჩენოდა.

ქვეშს ალბათ ასე აწყობდენ ერთმანეთზე, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ამას ჩვენი საბინაო კოოპერაცია აკეთებს და საცაა დაამთავრებს, ხოლო გოდოლს კი უთავო და უაზრო ხალხი აკეთებდა. ამიტომ დაინგრა გოდოლი! — დავაკმაყოფილე ბავშის ცნობის მოყვარეობა.

უკან რომ მოვდიოდით, ისევ იმ ყორესთან გამოვიარეთ. ყორე აეშენებიათ და ორი ტეხნიკი რკინის ჭიშკარის ზომას იღებდა. მოვარჯიშენი კი არშინებით აკეთ-იკეთ დარბოდენ. ყველა ათვალერებდა.

—:—

მეორე დილას სამსახურში, რომ მივდიოდი, ყორე თეთრად იღებებოდა და ფართო რკინის ჭიშკარიც მზად იყო.

— რა სწრაფი ტემპით მიდის აღმშენებლობა ბინათ - კავშირის საშუალებით! — ვფიქრობდი, როცა სამსახურიდან უკან ვბრუნდებოდი, და ვუცქერდი ყორეს, რომელზედაც დიდრონი ასოებით ეწერა: **„ბინათ კავშირის სამასალო საწყობი“-ო.**

მეორე დილას ბავში რძისთვის გამომყვა ბაზარში და სწორედ ამ ყორესთან დაგვირჩა გავლა.

— მამილო, რავა დანგრეულა ეს ყორე!— მიმითითა ბავშმა.

ყორე მინგრეულ - მონგრეული იყო, ჭიშკარი გვერდზე მილეწილი, ქუჩა ქვებით ავსილი. მართალი გითხრათ, გამიკვირდა. მიწის ძვრა რომ ყოფილიყო, რავა დავიჯერო ჩემი ბინა უწინ არ ჩანგრეოდა! ისიც ხომ საბინაო ამბანაგობას ეკუთვნის. აბა ამ ყორეს რა მოუვიდა, მიზეზი არავისათვის მიკითხავს, ისე ჩაიარა ამ შემთხვევამ.

საშსახურიდან რომ ვბრუნდებოდი, ოცამდე მუშა ეხვია ყორეს და აშენებდენ. ეხლა სულ სხვა ტეხნიკები ადგენ თავს.

მესამე დღეს ყორე ისევ ძველებურად იდგა და წარწერაც თავის ადგილზე იყო.

ორი დღე არ გამივლია იმ ქუჩით, ხოლო მესამე დილას რომ ჩამოვიარე, ყორე უფრო უარესად იყო დანგრეული, ვინემ წინათ. ეხლა არ მეყო მოთმინება და მიზეზი ვიკითხე.

— ავტომობილი დ ტაკა მასალის შემოტანის დროს და დაინგრა! — მიპასუხა ერთმა თანამშრომელმა.

— ავტომობილი ცოცხალია?

— ავტოს არაფერი არ დაშავებია.

— სამართლე ყოფილა ყველაფერი, რასაც სწერენ — ვსთქვი გულში — შუბლმაგრები არიანო, თორემ რავა დავიჯერო—ასე სუსტმა ავტომობილმა ასეთი სქელი კედელი გაარღვია!

უცხოელები რომ ჩვენი მტრებია, ეს კარგათ ვიცი, მაგრამ ამ უსულო მანქანამ რაღა იცის, რომ ასე განწირულად იბრძვის ჩვენს წინააღმდეგ და დაუზოგველად ეჯახება რასაც შეხვდება!

ამ ფიქრში ვიყავი გართული ერთი კვირის განმავლობაში. ჩემს ბინასთან გავლილ ავტოს რომ დავინახავდი, შიშით ვკანკალებდი.

სიცილი ამივარდა.

— რაც მასალა ჰქონდათ, ამ ყორის აშენებას მოუნდა და სახლებს რით ააშენებენ! — ჩავილაპარაკე ჩამთვის და წავედი.

როგორც ვხედავ ეხლა ისევ აუშენებიათ ის ყორე; სქელიც არის და მაგარი... თუ ყორე გადაურჩა, უბედური ავტო კი დაიფშვნება ოხრათ. იკითხოს ფორდმა, თორემ ბინათ-კავშირს არაფერი ეხარჯება.

Ჯ. ᲠᲐᲒᲠᲚᲘ

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

ჩვენმა სპეციალურმა თანამშრომელმა ბათომისათვის სპეციალურ „ტარტაროზი“-ს ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით, ინახულა ბათომში მომუშავე სხვადასხვა პირები, რომლებთანაც შემდეგი საუბარი ჰქონდა:

— ამხ. ვასო, როგორი იქნება მომავალ სეზონი თქვენს თეატრში? გეყოლებათ დასი?

— ბიჭო, როდის იყო ჩვენ უდასოთ დავრჩით?! ქართული დასი თუ არ გვეყოლება, რუსული ოპერეტა მაინც ჩამოვა. იასნო დალშე.

—:—

—ამხ. მილიციის უფროსო, ამ ქუჩებში რომ ბალახები ამოვსვლიათ, რა მოსაზრებას უნდა მივაწეროთ?

— ხომ იცი, ძმაო, სოფელთან კავშირის გაბმას ვფიქრობ და გლეხები რომ ჩამოვლენ, რა თქმა უნდა, ურმებით იქნებიან; ხარებს ხომ საძოვარი დასჭირდება?

—:—

— ამხ. ცინცაძე, დგმურები საყვედურობენ უვარგისობაზე, როგორც სჩანს, საბინაო კოოპერაცია არ აქცევს ამას ყურადღებას.

— ცრუობენ, ბურჟუაზიული სულისკვეთების არიან, არაფერი არ უჭირთ, ერთ ადგილას თუ წვიმა ჩამოვა, მეორე ადგილას გადადგან ლოგინი.

—:—

— რა ახალი სურათები გავა თქვენს ეკრანზე ამ ხანებში? — შეეკითხა ჩვენი თანამშრომელი კინოს გამგეს.

„სურამის ციხე“, „არსენა ყაჩაღი“, „სამი სიცოცხლე“ და, თუ ვიმონეთ, „ბაღდადელი ქურდი“.

—:—

ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ

— მატარებელი ტფილისისაკენ რომელ საათზე გადის? — შეეკითხა ტელეფონით ჩვენი თანამშრომელი სადგურს.

— გისმენთ! სამალარიო სადგური!

— დასწყევლოს ეშმაკმა! ახალ ჩაპოსული ვარ, მალარია ასე უცებ როგორ შემეყრებოდა!

—:—

სადგურში ჩვენს თანამშრომელს ერთი უცნობი შეხვდა.

— როდის გამომიგზავნის „ტარტაროზი“ გონორარს?

— წერილები მოათავსე შიგ თუ?

თუ არ მოვათავსე, რა ჩემი ბრალია, მე ორმოცამდე წერილი მაქვს გაგზავნილი; რა ჩემი ბრალია, თუ არ დაიბეჭდა!

გე — ნე.

ლიტერატურული ნოგათი

პ ა რ ო დ ი ე ბ ი

პ. ოგოლი

ვწერ რომანებს, ლექსებს, პროზას
არვინა მყავს მე აქ ტოლი,
თემათა მაქვს ადებული
„შვილები და მკვიდრი ცოლი“.

ნ. იმედაშვილი

ჩვენ, მეგობარო, ღილგახსნილი
ვატარებთ ხალათს,
დღე წვიმიანი, ნისლიანი
ჩვენთვის დარია,
ჩვენი ლექსები წავიკითხოთ
და დავლევთ შარბათს,
მე და შენ რომ შიგ ჩავაქციეთ
ოფლის ღვარია...

—:—

ოდიშელი

არწივებივით დავქრივარ ყველგან
და მე არ ვიცი რა არის დაღლა
პროლეტპოეტებს ვიწვევ შეჯიბრში,
ვნახოთ ვინ ავა ჩვენ შორის მაღლა...

თამ. ლეჟავა

რა წამია, რა სპეტაკი
მგრძნობიარე
რატურფა ხარ,
საოცნებოდ ქცეული,
მოდი მუზავ,
შენზე ცრემლი დავღვარე,
ნუ ჯიუტობ,
ნუ ხარ გადარეული.

—:—

შ. ართილაყვა

მე ხომ დავტოვე ჩემს სოფელში
ნათესავები.
მე ხომ დავხიე ძველი ზნე და
ძველი ადათი;
დღეს, ჩემო ტურფავ,
ჩემი ლექსის ქსელში გაები,
მიტომ დავწერე ლექსათ
შენზე ტრფობის ბარათი.

—:—

ნ. მანიძე.

შენი ტანი ათრთოლდა
უჩვეულო ხალისით,
და ვით მთვარე ფერმკთალი
ქარიშხლიან ავდრიდან
მაშინ გული ატოკდა,
შუბლზე ხელი გადვისვი
და ეს ლექსი შევთხზე მე
საკუთარი თავიდან.



გ. თადუმაძე

ცხოვრება შეჯიბრებული
ღალადებს წარმოებასა
ჩვენ, პოეტები ვუნდებით
მხოლოდ თავისა ქებასა.

—:—

გრ. შავიშვილი

მე წინ მივდივარ... წინ „პარად-ალე“.
მერე მე რა, თუ თქვენ დაიღალეთ!

—:—

ხ. კომახიძე.

სულო რისთვის დამილონდი,
გეყოს ტანჯვა, გაიხარე,
ჯერ სამარე ახალგაზრდა
პოეტს რისთვის გამითხარე...

აგერ მივალ ბათუმში!

ცინცხალ დილაზე გამოაღო თავის სახლის კარები დათა წკიპურტაძემ და ერთი ლაზათიანად დაამთქნარა.

— გამარჯობა დათა. ამ იალონზე რომ ამდგარხარ, ხომ არსად მიხვალ? — გადმოსძახა მეზობელმა კირილე შურიძლაძემ და ღობეს მიადგა.

— გაგიმარჯოს! — აგერ მივალ ბათომში.

— ბიჭო და ასე ადრე რა გინდა? დელეჯანი რვა საათზე მიდის.

— დელეჯანი არა, კარეტა არ გინდა? — ჩაიცინა დათიამ, — მამა უხონდათ დელეჯანის ჯლაყუნით გვერდები ჩავიმტვრიო, რა ოხრათ მინდა შენი დელეჯანი, ჩემი დელეჯანი ფეხებია. ხელად გავგლეჯინდები ბახვში და შენი დელეჯანი ნაგომარზე არ იქნება ჩასული, რომ მე ოზურგეთში შვლეჭას მივადენ.

— შე კაი კაცო, თუ ფეხით ვიარდით, მაშვინ რაღა საჭირო იყო აირკინის გზა, ანტონობილები, დელეჟნები.

— კაცია და გუნებაო, ტყვილა ებრაგუნებაო, — ხომ გაგიგონია?!

— შენთან მუსაიფი კაია, ჩემო კირილე, მარა დროია გზას ბარაქა და ვაყარო. დღეს ჩავირბენ ბათომში და ხვალ დავბრუნდები. თუ კაცი ხარ ხანდახან გადმოხედე ამ ჩემ ოჯახს.

— კი, ჩემო დათია, მაგას რავა დაგზარდები. მომიკითხე ნაცნობები.

მეზობლები დაშორდენ ერთმანეთს და დათიამ გრძელი ნაბიჯით ეზო გადათელა და გაუდგა ოზურგეთის შარა გზას.

საღამო ხანს ბათომის სადგურს მიადგა.

რამდენიმე წლის წინად ის ბათომში მუშაობდა გადამტვირთავ მუშად ნავთსადგურში. ბათომს კარგად იცნობდა. თხუთმეტი წელიწადი გავიდა, რაც იქ არ ყოფილა და თვალებს არ უჯერებდა, როცა ბათომს გადახედა. აქა იქ ახლად აშენებული უზარმაზარი სახლები, ფართე დაკრიალებული ქუჩები, ყველგან სიწყნარე, დისციპლინა!.. გაუკვირდა რომ სადგურის უკან ისეთი ღრიანცელი და მთვრალი ხალხის ყვირილ არ იყო, როგორც წინად. გაჰყვა ქუჩებს. შეუხვია ნურიის ბაზრისაკენ და გაშტერებული გაჩერდა. თვალებს არ უჯერებდა. წინად აქ ყოველ ფეხის გადადგმაზე სამიკიტნოები იყო, საიდანაც ისმოდა მთვრალი ხალხის ყვირილი და ლანძღვა - გინება. ამ სამიკიტნოების მაგიერ მას ვეებერთელა კოოპერატიული სასადილოს თეთრმა შენობამ შემოსცინა. დათა შევიდა შიგ და დიდხანს ათვალიერებდა გაკვირვებით. ყველგან სისუფთავე, სიწყნარე, ყველა თავ თავის საქმეს იჯდა და ჩუმად სადილობდა.

მადლიერი დათა გაუდგა გზას. მისი ყურადღება მიიპყრო ვეებერთელა ნავთის გადასაქაჩავმა ქარხანამ, წინად აქ იყო როტშილდის და მენშევიკების ქარხნები, მაგრამ ეს ახალი ქარხანა ათჯერ უფრო დიდი იყო და სხვადასხვა ახალ მანქანებით მორთული. აქა-იქ ხედავდა, რომ გაჩქარებით შენდებოდა სახლები და ქარხნები, მუშები ჭიანჭველასავით მოდებოდენ მთელ ბათომს და გაჩქარებული მუშაობდენ. დათია ჩააფიქრა ამ მდგომარეობამ.

— ყოჩაღ ბიჭებო, კაი ბიჭები ხართ და ქეც ააშენებ ქვეყანას!

დათია ბულვარში შევიდა და სკამზე ჩამოჯდა. და ფიქრებმა გაიტაცა. ის ადარებდა შორეულ წარსულს ენლანდელ მდგომარეობას. უცბად მის წინ ვიღაც აჭარელი გაჩერდა, გვერდით ხელი ხელ გაყრილი მიჰყვებოდა ვიღაც თავ დაუხურავი ქალი. დათია ფიქრებიდან გამოერკვა, შეხედა უცნობს და უცბად ზეზე წამოიჭრა და სიხარულით გადაეხვია.

— ომიან, შენ გენაცვალე, რა გამეხარდა შენი ნახვა. დაჯექი, დაჯექი. მიამბე რამე. რამდენი ხანია არ მინახავხარ.

მის წინ იდგა მისი ძველი ნაცნობი ომიან გორდელაძე, აჭარელი გლეხი. ბათომის მუშაობის დროს დათია მას ძალიან დაუმეგობრდა, რამდენჯერმე ესტუმრა და ისე უყურებდა როგორც მკვიდრ ნათესავს.

— რავა ხარ ჭოვ, რამ ჩამოგიყვანა აქ. შეეხმაურა ომიანა და გვერდზე მიუჯდა თავის ქალით.

კარგა მასლაათის შემდეგ დათიამ ახედ - დახედა ქალს და ჩუმი ხმით ჰკითხა:

— აგი ძღაბი ვინაა?

— ვინაა და ჩემი ცოლი!

დათიამ მოწიწებით ხელი ჩამოართვა და ჩაიცინა.

— ბიჭო რავა მოუშვლეპია თაზვე, ჩადრი რა უყო?

— ჩადრობამ თქვენი ჭირი წაიღო, კაი ხანია გადავაგდეთ, რად გიკვირს რომ ჩემ ცოლს თავზე არაფერი ახურავს? თქვენი ქალები გატიტვლებულნი დაიარებიან და აგი რეიზა გიკვირს!

ორივე მეგობრებმა გულიანად გადიხარხარეს.

— რა ამბავია თქვენში ომიან? ,

— ყოლიფერი კარგადაა ჭოვ, რავაც იქნა მევისვენეთ, გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას, მიწები ბრევლი გვაქვს, აგი ბეგები ქე მოგვაშორეს, სკოლები გაგვიხსნა და სულ ჩვენზე ზრუნავს. ახლა ფუხარები აღარა ვართ, ჩვენც ვღებულობთ მონაწილეობას ჩვენ საქმეში, ქალები განვათავისუფლეთ, ძველ ადათებს ბოლო ეღება და აწი ყორიფელ კაის უნდა ველოდეთ.

— ჩვენშიაც საყდრები ბიბლიოთეკებად და სკოლებად გადავაკეთეთ. ხუცები გაიკრიჭენ. ერთი ხუცესიც აღარ გვყავს.

— კაი დროი დაგვიდგა ჭოვ, კაი!

— კაი დაგემართოს კაი დროა, ბათომს რომ შევხედე, გამიკვირდა, ველარ ვიცანი, ასე პაწა დროში რავა მოახერხეთ ამდენი საქმის გაკეთება, მიკვრის.

კიდევ კარგა ხანს იმასლაათეს მეგობრებმა და შემდეგ ტკბილად დაშორდენ ერთმანეთს. დათიამ განაგრძო ბათომის დათვალიერება. ის ყველაფერმა აღტაცებაში მოიყვანა.

დილა ადრიან გამოვიდა ბათომიდან. დათია მთელი კვირის განმავლობაში უამბობდა მეზობლებს ბათომის გასაოცარ ამბებს.

თაყა კვირზილაძე.

მიიღება ხელის მოწერა ივნისისთვის
„ეკონომ“-ზე
„ეკონომ“ ოსვრის ფასსხვაგით „ფარტალოზი“-თ ფასს. 70 ფასს.

განათლების მუშაკთა კავშირში

— მიშუამდგომლეთ ამხანაგო, რომ ბინა მომეცეს.
— ვერ უყურებ რა დღეში ვართ? ბინა თქვენთვის კი არა, ჩვენთვის არა გვაქვს.

უკეთილი „სალხის“ საქმიანობა ბათუმის ქუჩებში

სპეციალური
ბათუმის ნომრის
დარჩენილი მასალები
დაიბეჭდება
შემდეგ ნომერში

სამართლიანი საყვედური

(გათოვი—საბარგო)

საგეზო მატარებელი თავმომწონეთ შემოსრიალდა პირველ საბარგო ლიანდაგში და უცებ გაჩერდა. მარტოვის სისტემის ქვაბები გამარჯვებულ მოწაფეებივით მედიდურად გადმოიყურებოდენ.

ერთმა მათგანმა, ყოველ მხრიდან საკმაოდ ლაზათიანად შეკეთებულმა და შეღებილმა, იცნო უსახელო ჩიხში მდგომი № 559224 დაზიანებული ქვაბი, რომელსაც მასთან ერთად ოდესლაც მარცხი შეემთხვა, მას შეეცოდა განმეორებით დაზიანებული თანამოძმე და გულნატკენათ შეეკითხა:

— მეგობარო, როდინდელი დაზიანებული გაქვს ფეხები?

— დიდი ხნის, მეგობარო, დიდი ხნის!— საცოდავათ ამოიკვნესა ავადმყოფმა ქვაბმა.

— როგორც მახსოვს, მგონი შენც ჩემთან იყავ 30 დეკემბერს ნატანების ხიდზე მომხდარ კატასტროფის დროს.

— ოი, საკვირველებავ! ნუ თუ ამ 5 თვის განმავლობაში ასე უპატროხოთ ხარ მიგდებული სადღაც ჩიხში!?

— სწორედ ასეა, ჩემო მეგობარო. იანვრის პირველ რიცხვებში ჩამომათრიეს ოჩხამურის ასაქცევიდან, შემაგდეს ეგრედ-წოდებულ ამ უსახელო ჩიხში და მთლად მიივიწყეს ჩემი შეკეთების საკითხი.

— ეს ძალიან სამწუხარო მოგლენაა!

— ეხ, ჩემო კარგო. ნუ თუ არ იცი, რომ ჩვენი მუშაკების უმრავლესობა დაწინაურებულ სუფრვილის მანიით არიან შეპყრობილი. მაშ რაღაა საკვირველი, რომ ქელეხსაშვილი, ძმინაშვილი - ბოგუცკებიც ამ სენით იყვნენ დაავადებული და ასეთი წვრილმანი, როგორიც არის ჩემი შეკეთება, მათ ნაკლებ აინტერესებთ.

— ეს რა მტვერია საქონლის ანგარანთან?

— რა მტვერი იქნება, თუ არა რეორგანიზაციის ნაყოფი. ყოველ ნაირი რეორგანიზაცია აპარატის მუშაობას უნდა ამარტივებდეს, ხარჯებს ამცირებდეს და წარმოების ნაყოფიერებას ადიდებდეს. ჩვენს ტრანსპორტზე კი — ყველა ეს უკუღმა ხდება. ათასი სხვადასხვა თანამდებობები მოიგონეს, გონებრივ მუშაკთა შტატი გაბერის და ინუენერის სახელწოდებები და თანამდებობები უწოდეს. ასეთმა რეორგანიზაციამ კი, როგორც ხედავთ, ასე არივ-დარია მუშაობა.

— ეჰ! რას იზამ! — ამოიოხრა შეკეთებულმა ქვაბმა და თავის გზას გაუდგა ლიანდაგზე.

უ—ნარი

ᲐᲭᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲪᲔᲜᲔᲑᲘ

I.

ეიდა, ჭოვ, წიგნები კახაბერში, მიწის დახვნა მინდოდა. მივაყენე ჩემი წიქარაი და ნიკორაი. მიწა იყო ხელი, გაუჭირდა, ჭოვ, ხარებს, ეფეჭა მიწა, დახნეს. მარა ხარები ოფლად იყვენ შეღებილი. მუცასვენე ხარები; მეც მეცისვენე... გეციხედე, ძიაკ, შეკვხედე რაცხა იბრეთი მუცა და მუცა, მოხრიგანობს და მოდრიგინობს, მოშლიჭინობს და მოჭიხვინობს.

— აბა! — ვიფიქრე რაცხაა გამადელოს (გამასულელოს) და შიში უნდა შემჭამოს— მეთქი. გეკვექეცი, ჭოვ, ვერ დამეწეოდა აჭარის წყალი. გამოიქცა ხარებიც, ვირბინეთ და ვირბინეთ, ვიყვირე და ვიყვირე. მეკვიხედ მორბის, არც ყური აქ, არც თვალი, არც ფეხი და არც კუდი, უქენი განი გადაგხტი ბარში, ვიძრე ფიშტო, ამევიღე ნიშანში და შეუძახე.:

— აბა შენ და აბა მე — მეთქი; გაჩერდი. თვალრა ყურშუმს (თოფი) შით გულში გაგარტყამ—მეთქი.

— მაგრამ, აბა-ბა-ბა! სულ არ შეშინდა. ვეროლე, ჭოვ, — მაინც მორბის, შევხედე და ვიცანი: ტრაქტორი იყო. ისე ხნავდა ქვასიდით გამხმარ მიწას, რომ ნაცარი გეგონებოდა. არც ოფლი ჭონდა, არც აფერი, ჭოვ, იმსანი რას არ ნახავს: ამას არც ქვა აჩერებს არც ძირი, მიგა და მივა... ჩემი წიქარაი და ნიკორაი ერთ კვირაში, რომ დახნავს, აი ერთ საათში ხნავს.

დეილოცა ძიაკ იმის მომგონი სტაფლა ოურმე, რას მოიგონებს.

ჭოვ, მე რომ გაჭივრება მინახავს, ყველაი რომ ვთქვა, პირდაპირ გაკვირდები. შემიჩდა ყარდაშ ჩემი ქალი აიმე: თუ კავერკოტის კასტუმი არ მიყიდე, შენთან არ ვიცხოვრებო

ტოღრი (მართალი) უნდა გითხრა, მეც დელიყანტს მიძახოდენ.

რას ვიზამდი, ყარდაშ, გიდვიკიდე ფალასკა, ეკიდე თოფი, ვიშონე კაცები, მოვნახე ჯვალის ტომარაი და შეუდექით ტრიალაის მთას. ვიარეთ, ვიარეთ და ვიარეთ; გადავიარე ერთი მთაი, მეორე მთაი, ერთი ხრაში, მეორე ხრაში, ღელე, კორდი, ტყეი, ნაგარი და ალაი და ბილაი შუქურ. მივედით თურქის საზღვარზე ვიყიდე საქონელი: კავერკოტი, ინდიგო, რიპსი, დოქი, კაბარდინი, შევიოტი, ნასკი; ლორიგანი; დუხი; პუდრი; პრეზდეშინი და სხვა რამეები. გავაფსე ჯვალის ტომარაი, აგკიდე მუშებს და წამუედი.

იყო, ძიაკ, თოვლი, ქარბუქი და ღამე. მივედით აჭარის წყალზე შევედით წყალში, გამუედით გალმა, მარა პირდაპირ გევიყინეთ. ამ დროს შეიქნა სროლა.

ხუსეინაკ, დაწექი, მოგკლეს—მეთქი. ხუსაინაი დაწვა, მეც დავწევი, მესროლეს, ვესროლე, ყურშუმი გაწვიმდა; ავდექი და გევიქეცით. გადავარდი ხრამში, გადმოხტა ხუსიანაც. ალაი შუქურ სიკვდილს გადაურჩი, მარა ერთი გვერდი დამტვრევისაგან გამიფუჭდა... დაგვიჭირეს და საქონელი ჩამოგვართვეს... ციხეშიც ჩაგვსვეს.

ასეა, ძიაკ, კოტრაბანდი აბერი კაი საქმე არაა. პატიოსანი მუშაობა ყველაფერს სჯობია. დაგკარგე კავერკოტი, შევიოტი, ჩულქები, პუდრები და თავიც კიღამ გადავაყოლე.

გუჯგუტი

განათლების მუშაკები

საბათომო ნომრისათვის ვწერ ამ ამბავს ვინმე—„ჩკუმი“
აქ ბევრი გვაქვს შვიდწლედები, პროფსკოლა და ტეხნი კუმი
მე კი მსურს ვთქვა განათლების მუშაკებზე რამე-რუმე,
რადგან გრძნობა ამეშალა, ენაც ველარ დავიდუმე.

განათლების მუშაკების სახლი მორთეს შინ და გარეთ.
მაგრამ მისი გამგეობა მაინც დარჩა მგლოვიარეთ.
დავაარსეთ იქ წრეები; პირვლად ბევრი ჩაეწერა.
დღეს კი ქუდიც რომ შეუგდოთ, მიაკარებთ იქ კაცს ვერა.

ერთ-ერთ წრეში როგორ იქნა გაანძრიეს ფეხი-ხელი;
აირჩიეს ერთი თემა საზიანო (თუმცა ძველი):
„ახალ სკოლის დისციპლინა, მისი სახე, საფუძველი“...
მომხსენებლად გამოიყო ჩვენი ნიკო, მეტად გრძელი.

ჩვენი ნიკო, ნიკო ჩვენი, დისციპლინით გვეელინება.
სად ნიკო, სად დისციპლინა? მოდი ნუ გაგეცინება,
მე აქ ნიკოს ხსენებაზე მომაგონდა სხვაცა ძმები
პლატონ, ვუკოლ, ალიოშა, ნადირობით „განთქმულები“.

ამ ზამთარში მათ სულყველას ეზარალათ ძაღლთა კვეცა
თუმცა მათი ტრაბახით კი დღესაც ყური გვეჭედება.
აქ ათწლედი ინტრიგის და კინკლაობის გახდა ბაგა
და გაისმის ხშირად ხმები: „არ გაუშვა! დაკა! დაკა“!

მილოვი კი ლექციებზე ლმერთს აგინებს, ფურორს ბადებს
და სახლში კი (ხმაპი დაღის) სანთელს უნთებს ჩუმად ხატებს.

—ჩკუმ.

მუავე კიტრის დამუავება

ყველაფერს თავისი სეზონი და დრო აქვს. და სწორედ ამას უნდა მივაწეროთ ის, რომ დეკემბრის რიცხვებში ბათომის მუშკოოპმა ცენტრს ერთი ბოჭკა მუავე კიტრი შეუკვეთა.

„გაიგზავნოს ორი ბოჭკა"—წაწერა ცეკავშირის ხელმძღვანელმა ბათომის მუშკოოპის მოთხოვნილებაზე.

— ერთს თხოულობენ, ამხანაგო, თქვენ კი ორს აგზავნით!—ეთხრა საქმეთა მმართველმა გამგეს.

— ისინიც სულელებია და შენც. ბათომის ოდენა ქალაქს რას ეყოფა ერთი ბოჭკა მუავე კიტრი, როდესაც იქაურ მცხოვრებთა 120 პროცენტი ციებით არის დაავადმყოფებული, ხომ იცი ციებიან და ფეხმძიმეებს როგორ უყვარს მუავეულება. გარდა ამისა, რამდენი ქალები და ქალიშვილები არიან ფეხმძიმეთ!—იმართლა თავი გამგემ და მეორე დღესვე ბათომისკენ ორი დიდი ბოჭკა მუავე კიტრი გაიგზავნა.

ბათომის მცხოვრებლები პირში ნერწყვ მომდგარი ელოდებოდენ მუაე კიტრის მიღებას და როცა ბოჭკებით კიტრი მუშკოოპის საწყობში მიჰქონდათ, მყიდველთა რიგი უკან მისდევდა.

— ამხანაგებო, ჯერ ფაქტურა არ მიგვიღია, არ ვიცით როგორ უნდა გავყიდოთ; ამიტომ კიტრის გაყიდვა ხვალიდან დაიწყება!—გამოაცხადა სავაჭროს გამგემ.

მყიდველებმა პირი ააწლაკუნეს და ღსიამოვნოთ დაიშალენ.

მეორე დღეს დილით, ისე მისეოდენ მუშკოოპს, რომ ნოქარმა ძლივს შესძლო სავაჭროს კარების გაღება და შესვლა.

— ფაქტურა ჯერაც არ მიგვიღია!—გამოაცხადა ნოქარმა და მყიდველები ისევ უკმაყოფილოდ დაიშალენ.

„სასწრაფოდ გამოგვიგზავნეთ ფაქტურა"—აცნობა დეპეშით ცენტრს მუშკოოპმა.

ერთი კვირის შემდეგ ცეკავშირიდან ბათომის მუშკოოპმა მიიღო ქაღალდი:

„გეგზავნებათ საქონლის ფაქტურა. საქონელს მიიღებთ სამი თვის შემდეგ"...

და ჩამოთვლილი იყო ზეთი ფართლეულობის სახელები, რომლის მსგავსი არასოდეს ბათომის მუშკოოპს არ ჰქონია.

— კაცო, ჩვენ კიტრის ფაქტურას გთხოვდით, ისინი კი ფართლისას გვიგზავნიან!—გაჯავრდა სავაჭ. განყოფილების გამგე. და სასწრაფო ფოსტით კიდევ კიტრის ფაქტურა გამოითხოვა

—:—

ყველას დაავიწყდა ორი ბოჭკა კიტრის შესახებ. ბათომში აქა-იქ ახალი კიტრი გამოჩნდა და მუავე კიტრმაც დაკარგა მოთხოვნილება. ფოსტალიონმა კიდევ ერთი კონვერტი მიიტანა მუშკოოპში.

„გეგზავნებათ კიტრის ფაქტურა"—ამოიკითხა სავაჭრო განყოფილების გამგემ.

სავაჭროების გამგეები გამოიძახა.

— აჰა, წაიღეთ ფაქტურა!—ეთხრა მან მის წინ შეგროვილ მაღაზიის გამგეებს.

— საქონელს აწი მივიღებთ?—შეეკითხა ერთი მათგანი!

— მიღებულ კიტრის ფაქტურაა—გაუმეორა გამგემ.

— რომელი კიტრის?—ერთხმად შეეკითხენ;

— რომლისა და ერთხელ რომ მივიღეთ ცეკავშირიდან.

— ის ერთი თვეა, რაც გადავყარეთ. ისე აქოთდა, რომ მისი სუნი ეხლაც არის სავაჭროში!—უპასუხეს გამგეს.

გამგემ ფაქტურა დაახვია და იქვე ბოდორში ჩააგდო.

პ. ლ.

აჰარელი

წინაპრ და ალლა

რამე-რუმე

აფთიაქს წითელ მთვარისას
ვეწვიოთ სტუმრათ უცხოდა.
იქ აქაფიძე „მსახურობს"
(ისე მას მამა უცხონდა).
კაცია იგი ყოფილი,
ამაყი სულით, გულითა,
თვის ქერქში ველარ ეტევა
ძველი დროს სიყვარულითა.
ეჯავრის კედლის გაზეთი,
კედლკორსაც დასდევს სახრითა;
გაკვირვებული დარჩებით.
თქვენ ასეთ ტიპის ნახვითა.

—:—

ინვალიდების საბჭოშიც,
არ დავიზარებ შეხტომას,
ბევრი ყოფილი ახერხებს
იქ ინვალიდათ შეძრომას.
მაგრამ სულ სხვაა მთავარი,
ამ დარგის ბედ-იღბალისა,
ქალები მბრძანებელია
ლამაზნი, კოხტა თვალისა.
ნინა სუყველას ბრძანებლობს,
ის გამგის შვამავალია,
სხვებიც ბლომად ჰყავს ამქრები,
თითონაც კოხტა ქალია.
საქმე კეთდება ხალისით,
ხელფასიც გადის ბლომადა,
ორას სამასი მანეთი,
არ ყოფნის გასაძღომათა.

ეხლა ოსმანას ვეწვეევით,
კაცია ახალ დროისი,
მისი პირიდან სულ ხმირად
დედის გინება მოისმის.
კრიტიკა „უყვარს" ძალიან,
ამ ჩვენ ამხანაგ ოსმანსა;
ვინაც ის გააკრიტიკა,
ყველას უპირებს მოხსნასა.

—:—

ექიმ საბაევს ვეწვიოთ,
ბრძოლაში არის განთქმული;
ზედმეტად არვის ეჩვენოს,
ჩემგან ამჟამად აქ თქმული.
უყვარს ჩხუბი და ინტრიგა
მომხრეებიც ყავს მრავალი,
თანამშრომლები ბევრია,
მისგან გაგდებით მავალი.
კავშირში საქმე აწყვია,
მასზედ აღძრული ფუთობით,
წამლებს არ მოგცემს კვდებოდე,
ჰქონდეს თავსაყრად ყუთობით.

—:—

სხვებიც გვყავს, მაგრამ მათ
შემდეგ
მოვდვათ ჩვენ ბასრი ჩანგალი,
მოუსვათ როგორც ყანასა,
მომკელის ბასრი ნამგალი.

კიკოლიკა.

სოუქსოგა

სასაფლაოზე გამართული ქელეხი მიცვალებულთა „საცხონებლად“.

ნახატი ნახურიდან

ყ უ მ ბ ა რ ა

ბუმბაია ოსმანი, —
მსუქაგი, არაწმინდა,
კომისიამ გამწმენდმა
მუშკოპიდან გაწმინდა,
რადგან ვაჭრებს წყალობდა
ძმობდა კონტრაბანდისტებს.
და „მოწყალე“ გოგონებს
ურიგებდა ბატისტებს.
მაგრამ კვლავ დაბრუნეს
ორაგული წყალშია,
ინსპექციავ, გვითხარი
ნეტავ საქმე რაშია?

—:—

საბიკიტო დუკანია
რესტორანი „საფრანგეთი“,
დროზე კერძს არ გაღირსებენ
მოიშველე თუნდა **კეტი.**

—:—



ხაბაშვილი — ექიმი,
მკურნალია ქებული,
საიქიოს ბევრი ჰყავს
იმას გამგზავრებული.

თუ მიმართეთ როდისმე,
გაგაგზავნით სხვაგანა,
„მოთაფლული“ კაცია
შეედრება სხვა განა?

—:—

კბილის ექიმსა კლებანსკის
„ვიწრო“ წელი აქვს, „პაწია“
პურის წიგნაკი არ მისცეს,
შიმშილით „კვდება“ კაცია.

ბულალტერია ბირიან
(ოლიაქეა გვარადა,)
მისი ღრიალი, **ყვირილი,**
გაისმის მთად **და** ბარადა.
მუშებს **უყვირის** **უხეშათ,**
მიუკარები, ანგალი,
უებარია **იმისთვის**
ტარტაროზკორის **ჩანგალი.**

—:—



კაზაკაშვილი „ვერიჩკა“
აღმასკომელი „მტრედია“,
ისეთი **დიდი** **გული** **აქვს**
სიტყვა **ვერ** **გაგვიბედია.**

გაბუნიას ქალი **არის**
თანამშრომლად **აღმასკომში,**
უყვარს **ბულკი,** **მონპასიე,**
დაშაქრული **ვაშლი,** **კომში.**
საქმეზე **და** **სამსახურზე**
არ **შეუვა** **ფიქრი** **თავში,**
სად **სკალია:** **ჩამწვარია**
დუხებში **და** **პამადაში.**

—:—



კეიგულიანი — **შევამკოთ**
მუშკოპის **თანამშრომელი** —
მუშების **ფართალს** **„კუკნიდა“**
ჩალა-ბზესავით **რომელი** —
მუშკოპის **ფულით** **პარიზში**
ცოლი **გაგზავნა** **ტანია,**
როცა **შეუტყვეს** — **„გასწმინდეს**
„პრაშჩაი-დასვიდანია“.

—:—

ინვალიდთა **სარძევე** **ნადს**
მეთაურობს **კოდელი** —
იოსები — **ინტრიგის** **და**
უხეშობის **მოდელი.**
ყოველთვის **და** **სულ** **ყველასთან**
ეს **„უმანკო“** **ქმნილება**
უშვერ **სიტყვით** **ილანძღება**
და **დედას** **იგინება.**

მარკუშინი **გახლავთ** **ბორის,**
მოხელეა **ახლა** **ფოსტის**
„ბავში“ **თეთრი** **გვარდიელი,**
საბჭოებზე **გული** **მოსდის.**

—:—



ტყავის **საწყობის** **გამგეა**
დავით **რუჟანსკი,** — **უხეში,**
სპეკულიანტებს **მფარველობს**
იმათ **ინუტებს** **უბეში.**
მუშებს **კი** **გასამკეცებულ**
ფასებში **ტყავი** **მიჰყიდა**
მავნებელ-ბიუროკრატი,
უნდა **აბარგდეს** **იქიდან.**

—:—

ბათომელი **ვექილი**—
ხაბაშვილი **პარმენი,**
ტუჩს **ილებავს** **პამადით**
ვით **მიჯნური** **კარმენი.**
ელანდება **ქალები;**
მერიკო **და** **ტანია,**
პაციენტიც **ბევრი** **ჰყავს—**
ჩვენი **დონჟუანია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეშიტ-აღა ქოროღლი და „ჯვარის ძალა“

ეს ამბავი უწინ მოხდა.

მე, რეშიტალა ქოროღლი მაშინ ზოვლი, ახალგაზრდა ბიჭი ვიყავი. სიმღერა, ცეკვა - თამაში და ჭიმონის დაკვრაში ვერავინ შემეცილებოდა. მაგრამ წელს ის მტეხდა, რომ ფუხარა ვიყავი. ფუხარა, ძიავ, ჩემი სიბლაყვით კი არ ვყოფილვარ, არამედ დრო იყო ისეთი.

ზაფხულში, ავრეკავდი ნახირს გომის მთაზე. თუ რაიმეს ვიშოვიდი, მთის პატრონ თავადიშვილებს, გურიელებს მიჰქონდათ საძოვრების ქირაში. ზამთარში კი, აჭარაში ბეგები და ხოჯები მჭუცავდა ტყავს. ჩემი სიღარიბის გამო ზურგი და ფეხები მუდამ სასჯელში მქონდა. ცხენი არ მყავდა და ამიტომ მოვიკიდებდი ერთ გვარდა ყველს ან იაღს და ხარიათალის იელადანა ოზურგეთში მიმქონდა მჭადის ფქვილზე გამოსაცვლელეთა.

ერთ დღეს, ჩავედი გურიაში, შემოქმედის ჯვარზე მოვიხსენი გვარდა, წავედი ბეჟუჯის პირად, ვილოცე ყიბლე და შემდეგ შევექეცი დოსტებთან ლაპარაკს.

— სალამალეიქუმ, რუშიტალა! — მომესალმა ხუცესი დიონისე ღლონტი.

— ალეიქუმ სალამ ხოჯა ეფენდი.

ხუცესმა ხელი მკლავში გამიყარა და განზე გიმიყვანა ჭოვ!

— რეშიტალა, — დამიწყო ხუცესმა ლაპარაკი — ერთი ნაძვი გვაქვს საყდრის ოზოში მოსაჭარი და უნდა მოგვიჭრა.

— ბაქალუმ, ძიავ! — უთხარი მე და შემდეგ შევეკითხე: — ჰეიდა, ერთი მითხარი ხუცესო, — გურულებმა ვერ მოერიეთ ერთ ძირ ნაძვს თუ?

— არა, მორევით როგორ ვერ მოვერიეთ, მარა საყრდის ეზოში მდგარ ნაძვზე ჯვარის ძალი ჯდება და ქრისტიანმა კაცმა რომ ცული შემოჭკრას, იმ წიმსვე მარჯვენი შეახმეზაო. შენ ბეჩ აჭარელს კი არაფერს გეტყვისო.

— ღორის მჭამელი ვიქნები მაშინ, — შენ თუ არ გაგაბეჩე, ხუცესო-მეთქი — ჩავილაპარაკე ჩემთვის და ვუთხარი:

— მოვჭრი, ძიავ, მაგრამ ოცდა ხუთი მანეთი უნდა მომცეთ.

— რას ამბობ! ნახევარი საათის მუშაობაც არ სჭირია და ოცდა ხუთ მანეთს თხოულობო? — გაიკვირვა ხუცესმა.

დიდი ვაჭრობის შემდეგ, ოც მანეთათ გავრიგდით.

მოვემზადე. მოვიმარჯვე ცული. ნაძვთან, მოიყარა თავი ქალებმა და დაიწყეს წუწეუნი:

— ჰაი შენ, ბეჩო აჭარელო, როგორ შეგახმობს ხელს ჯვარის ძალი. ოცი მანეთის გულისთვის, როგორ უპატრონოდ უნდა დაყარო შენი ცოლშვილი!

—ხე რომ მოიჭრება და მიწაზე დაეცემა, მაშინ იმ წუთშივე მოკვდება! — ლაპარაკობდა ხუცესი ქალებში.

მე კი განვაგრძობდი ჭრას. რამოდენიმე წუთის შემდეგ, ხე შეინძრა და ღრიალით მიწაზე დაეცა. მიწაზე არ იყო კიდევ დაცემული, რომ მე ცული ხელიდან დავაგდე, თვალები გადავყვლიძე, ალახ, ალახ ამოვიძახე, მიწაზე დავეცი და ფეხების და ხელების ქიცინი დავიწყე.

— დიდ არს ღმერთი, ქრისტე და მისი ჯვარი! ხედავთ მათ ძლიერებას? ასე მოელის ღვთისა და ხატის ყოველ მგმობელს. ხვალიდანვე დაიწყეთ შემოწირვა ამა ალაგას თქვენი ცოდვების საპატიებლად! — ქადაგობდა ხუცესი ხალხში.

მე ავდექი, ულვაშები გადავგრიხე ჭოვ, ფული ჯიბეში ჩავიდე და ჩემს გზას გაუდექი, თანაც ვფიქრობდი: — ხუცებიც ხოჯებსავით მატყუარნი ყოფილან!

ოქსტინი.

განუწყვეტელზე გადასვლა

ზექერია ფუხარაძემ, როგორც იქნა, მიაგნო ქალაქის აღმასკომის შენობა და მორიდებით შევიდა შიგ.

— სად არის აქ საალმშენებლო განყოფილება? — იკითხა მან.

— მეშვიდე ნომერში!

ზექერიამ მეშვიდე ნომერი მოსძებნა და შიგ შევიდა.

— აი, ეხლახან გადმოვედით აქ, ჯერ მაგიდებიც არ დაგვილეგებია, საქმისათვის არ გვცალია. შემოიარეთ ხვალ! — უბრძანა ზექერიას თანამშრომელმა, რომელიც მაგიდის ასწორებდა ოთახში.

ზექერია მეორე დღეს საათის 12-ზე გამოცხადდა და დანიშნულ ოთახში შევიდა.

მაგიდას ახალგაზრდა ყმაწვილი უჯდა.

ზექერიამ მას მიმართა.

— საალმშენებლო განყოფილება მეცამეტე ოთახშია! — უთხრა ახალგაზრდამ.

— გუშინ აქ იყვნენ! — გაიკვირა ზექერიამ.

— გუშინ აქ იყვნენ, მაგრამ დღეს გადავიდენ! — უპასუხა ახალგაზრდამ.

— ზექერია მეცამეტე ნომერ ოთახს მიადგა.

როგორც იყო, მიიღეს მისი ქადალდები და შედეგისათვის სამი დღის შემდეგ დაიბარეს.

მესამე დღეს ზექერია რომ აღმასკომში მივიდა აღნიშნული ოთახი სულ ცარიელი დახვდა.

— სად გადავიდა საალმშენებლო განყოფილება! — შეეკითხა ის დამლაგებელს.

— მგონია მეთვრამეტე ოთახში!

ზექერია შევიდა № 18 ოთახში. ოთახი დაელაგებიათ, მაგრამ შიგ არავინ იყო.

ზექერია მაგიდასთან ჩამოჯდა დასაცდელად.

ოთხი ახალგაზრდა შევიდა ოთახში და ზექერიასთან გაჩერდენ.

— ჩვენ ბრიგადის წევრები ვართ, გვინდა — რა სარგებლობა მოიტანა განუწყვეტელ კვირაზე გადასვლამ აქ? — უთხრა ერთმა ახალგაზრდამ ზექერიას.

— მე არაფერი ვიცი! — უპასუხა გაკვირვებულმა ზექერიამ.

— ისე, მაინც გვითხარი, შენის შეხედულებით, რაში გამოიხატება აღმასკომში განუწყვეტელზე გადასვლა? — არ ეშვებოდა ბრიგადირი, რომებმაც ზექერია აღმასკომის თანამშრომლად მიიღო.

ზექერია დაფიქრდა.

— ჩემის აზრით აქ განუწყვეტელი გადასვლა ზედმიწევნით ჩქარი ტემპით მიდის. ისე სწრაფათ გადად - გადმოდიან ოთახიდან ოთახში, რომ კარგი მეძებარიც კვალს დაკარგავს! — უპასუხა ზექერიამ.

ბრიგადის წევრებმა რაღაცა ჩაიწერეს.

ტოქსინი.

თეატრიდან გაღმა, გაღმიდან გაძსახლეში

ნერვებ დაჭიმული ქალები ფეხზე ამდგარი უმართავდენ ოვაციებს ოპერეტკის მსახიობს ნოვიკოვს, რომელიც ნამთიური ბუღასავით გაჭიმულიყო სცენაზე და მადა-აშლილ მგელივით აბრიალებდა თვალებს.

როგორც იყო დაიშალა ხალხი და ნოვიკოვიც ქუჩაში გამოვიდა.

მადალმა ხმელტანიანმა ქალმა, უცებ მიირბინა, მკლავში ხელი გამოდვა ოჩან ხარივით მიებიჯგნა და ქალაქის ბაღისაკენ წაიყვანა.

— წეტავი მაგას! — სთქვეს შურით ზოგიერთმა ქალებმა და მწარედ ამოიოხრეს.

ნოვიკოვი და ქალი ბაღში შევიდენ და ჩამოჯდენ. ღამე უმთვარო და ბნელი იყო.

დიდხანს დარჩენ ერთად.

ბოლოს წასვლისას, ქალი ისევ შეეკითხა ვაჟს:

— ჩვენ ხომ სამუდამოთ ერთმანეთის ვართ?

— რას ამბობთ? — უკვირდა ვაჟს.

ქალმა კვიცილი მოირთო და ტანსაცმელი შემოიხია. გაკვირვებული ვაჟი თავზე ადგა. კვიცილზე გაჩნდენ მილიციელები, რომლებსაც ქალმა ნოვიკოვზე მიუთითა და უთხრა— დაეპატიჭრებით, რადგან მან ძალა იხმარა და დაიმორჩილა უძლური არსება.

ნოვიკოვი ბაღიდან გამასახლეს მოხვდა.

მეორე ღ[illegible]ეს ბათომის თეატრალური საზ[illegible]-ადოება ცხვილ - ჩამოშვებული იყო. თვალებაცრემლებული ქალები სახლში ნერვიულობდენ და ბავშვებს სცემდენ.

მეხუთე დღეს სასამართლო არჩევდა საჭმეს.

— რაში მედება ბრალი? — თითონ ნოვიკოვი ეკითხებოდა მოსამართლეს. ბაღში ძალად ჩამიყვანა, ძალადობა ჩემზე იხმარა და კიღევ მე მასამართლებთ?

— სასამართლომ ქალს დაკითხა. ქალმა იმ ღამინდელი სურათი უფრო ფართოთ გაშალა... სასამართლომ ნოვიკოვი გაამართლა. ოპერეტკის თაყვანისმცემელმა ქალებმა აღლუმი გაუმართეს თავის გმირს...

თეატრის დირექციამ მადლობა გამოუცხადა ოპერეტკას წასვლისას და ჯილდოთ თაიგული მიართვა.

ამით დამთავრდა ოპერეტკის სეზონი.

ჯუდიანი

...ახლოდან მოყვარეს

— ?!? (იხ. 4 გვ.).

გამოტირილიზაცია

ტერ იოსენიანცი პატარა კაცი არ ყოფილა და სწორედ იმიტომ იყო, რომ გაზეთ „საბჭოთა აჭარისტანში“ მის მოღვაწეობაზეც გრძელი წერილი დაიბეჭდა.

მიუხედავათ კომკავშირის, პროფორგანიზაციების და მუშაკორების აუარებელ პროტესტისა, ის მაინც არხეინად განაგრძობდა მუშაობას და არავის „ჩხაპანს“ ყურადღებას არ აქცევდა.

ერთ მშვენიერ დღეს, მან გამოაცხადა, რომ ის სტოვებს თავის თანამდებობას და გადადის სხვა ქალაქში. ცრემლები არ ეყო ზოგიერთებს ამის გაგონებაზე, მაგრამ ელენტს ცრემლების გარდა, საშინელი ქვითინიც წასკდა.

— ვიღუპებით, მიდის ჩვენი გამგე! — იძახდა ის თანამშრომლებში და ცრემლებს იწმენდდა.

— მიდის და ჯანდაბამდეც გზა ჰქონია! — უთხრა ერთმა „უვიცმა“ მას.

— ჯერ გავწმინდოთ და მერმეთ გაუშვათ! — დაუმატა მეორემ.

ელენტმა შენიშნა, რომ თანამგრძნობი ამ მწუხარების ჟამს მას ძალიან ცოტა ჰყავდა.

მოახლოვდა „ძვირფასი გამგის“ გაცილების დღე. დადგა განშორების წუთები და შავად შეიმოსა ცა.

ქართველ ხალხს სჩვევია ძველთაგან ქორწილი, ტირილი ღვინითა და ქეიფით. საჭირო შეიქნა „პატარა“ ქელეხის მოწყობა.

ეს ელენტმა ითავა. (ხუმრობაა! თვითონაც გამგეა და მასაც რომ შეემთხვეს ასეთი ამბავი?).

შეუყარა თავი რამოდენიმე გულმოკლულ დამწუხრებულთ და... გაიმართა გამოტირილის ქეიფი.

თავში იჯდა თვით „განსვენებული“ გამგე, მის გვერდში — მისი ჭირისუფალი ელენტი, შემდეგ რამოდენიმე სხვა ამხანაგები და შემდეგ — გარეშენიც...

თამადობა თვით ელენტმა იკისრა. მისი მუქხარე და მგრძნობიარე სიტყვები ცრემლებს იწვევდა თვით „განსვენებულშიაც“. იყო ხვეწნა და მუდარა, რომ არ დაეტოვებინათ თავისი სამფლობელო მათ საყვარელ გამგეს. ემუშავნა მათთან ხელიხელ ჩაკიდებული, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. სიტყვები ვერ ჰკურნავდა სასიკვდილოთ განწირულ ცხედარს.

— ამხანაგებო, — დაიწყო ბოლოს „ძვირფასმა გამგემ“ — მე დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი თქვენთან, რომლებთანაც შეიძლება ჩემი ყოველი მისწრაფება განვახორციელო, მაგრამ რა გამაჩერებს იმ ხალხთან, რომელსაც მუდამ ლენინი, შეჯიბრება, ბრიგადა, გამორკვევა, დამკვრელობა და მრავალი ასეთი ხლაფორთი აკერია ენაზე!.. იყავით ამხანაგებო, მარჯვეთ და ჭკუით!— და მან სათითაოდ ჩაკოცნა იქ მყოფნი და... განისვენა.

მეორე დღეს, როგორც ამბობენ, სამსახურში მხოლოდ ორი ვერ გაბოცხადდა.

ელენტი ცუდ გუნებაზე იყო და თავის ტკივილს გრძნობდა. **შუშხუნა**

ბათომის „მუშკოოპი“ წმენდის შემდეგ

ამხ. ტარტაროზო, თანახმად თქვენი დავალებისა, „ინტერვიუ“ ჩამოვართვი მუშკოოპის წარმომადგენლებს.

— როგორია თქვენთან მდგომარეობა მუშკოოპის წმენდის შესახებ?

— მდგომარეობა? თქვენ ალბათ წაიკითხავდით ჩვენს შესახებ გაზეთებში წერილებს, მაგრამ რადგან ასე გაინტერესებთ ჩვენი საკითხი... — და ის იყო უნდა დაეწყო, რომ ამ დროს იქ მყოფმა ახალგაზრდა ყმაწვილმა თვალი მიქნა — „გარეთ გამოდიო“. მე ბოდიში მოვიხადე და გარეთ გამოვედი.

— მაგს რას თხოვ, კაცო მასალებს! მოგატყუებს, სმართლეს არ გეტყვის. მე „ბუბუჭი კავალერისტი“ ვარ და მე გეტყვი ყველაფერს და მართლაც მიამბო:

ბარისის გაწმენდამ დიდი აურ - ზაური გამოიწვია მუშკოპის წრეებში. ზოგი მათგანი დაეინებით ადასტურებდა, რომ ბორიას შემცვლელი პირი აჭარისტანშ არ არსო, მაგრამ, როგორც იქნა სანთლით აღმოვაჩინეთ.

— პაპილიანციც „გაწმინდეს“ და პატარა

რედაქ.: სარედ. კოლეგია. გაზ. „მუშას“ გამოცემა. ფასი № 1319.
(გაზეთის გამოცემლობათა) სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68.



შედარება

უცხოელი (მენშევიკს): — სიმართლე რომ ვსთქვათ, ამ ათის წლის განმავლობაში ბევრი რამ გაუკეთებიათ ბოლშევიკებს!

— რას ამბობთ, ბატონო! ჩვენ სამ წელიწადში მეტი დავანგრიეთ!